სარჩევი

1. შესავალი ----------4
1.1. გამოკვლევის დანიშნულება ----------4
1.2. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი ----------5
1.3. გამოყენებული ნორმატიული და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ჩამონათვალი----------5
2. ქ. თბილისში, ჩეხოვის ქ. №28/30-ში მდებარე შენობების მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევა ----------6
3. ტექნიკური ექსპერტიზის დაკვნა ----------9
4. რეკომენდაციები ----------11

1. შესავალი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, შ.პ.ს „ლამარია“-ს დაკვეთით (ხელშეკრულება №233-2016-2, 19.04.2016). ხელშეკრულების თანახმად შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაოები: ქ. თბილისში, ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე ნაგებობის ვიზუალური გამოკვლევა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ზეგავლენა მეზობელ შენობებზე.

1.1 გამოკვლევის დანიშნულება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოკვლევებისათვის შესრულებულ სამუშაოთა დანიშნულებაა:

1. ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე ნაგებობის ვიზუალური გამოკვლევა ხილული დეფექტების დაფიქსირებით;
2. ჩეხოვის ქ. №28/30-ში მდებარე შენობების მიმდებარე ნაგებობების (ჩეხოვის ქ. №26 და ჩეხოვის №34) მზიდი კონსტრუქციების ვიზუალური გამოკვლევა, დაზიანებების დაფიქსირება და მათი ტექნიკური მდგომარეობის შეფასება;
3. გამოკვლევის შედეგად მიღებული შედეგების მიხედვით საექსპერტო დასკვნის მომზადება;
4. მიღებული შედეგების მიხედვით შესაძლებელი იქნება სარეაბილიტაციო ზონების გამოვლენა, სარეკონსტრუქციო პროექტის შედგენა და გამაგრებითი სამუშაოების მოცულობათა დადგენა.

1.2 დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი

1. სიტუაციური გეგმა ნახაზი №1;

2. ჩეხოვის ქ. №28/30-ში მდებარე ნაგებობის სართულების გეგმები

ა) სარაფის სართულის გეგმა -2.90 ნიშნულზე, ნახაზი №2;

ბ) პირველი სართულის გეგმა 0.00 ნიშნულზე, ნახაზი №3;

გ) მეორე სართულის გეგმა +3.60 ნიშნულზე, ნახაზი №4;

დ) მესამე სართულის გეგმა +7.20 ნიშნულზე, ნახაზი №5.

3. ქ. თბილისში, ჩეხოვის ქუჩა №28-30-ში არსებულ შენობაში სასტუმროს მოწყობა (კონსტრუქციული ნაწილი) დანართი 1.

1.3 გამოყენებული ნორმატიული და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტაციის ჩამონათვალი

1. СТО НОСТРОЙ 2.33.53-2011: Организация строительного производства. Снос (демонтаж) зданий и сооружений
2. ПОСОБИЕ ПО ОБСЛЕДОВАНИЮ СТРОИТЕЛЬНЫХ КОНСТРУКЦИЙ ЗДАНИЙ АО «ЦНИИПРОМЗДАНИЙ» Москва – 2004.

2. ქ. თბილისში, ჩეხოვის ქ. №28/30-ში მდებარე შენობების მიმდებარე ნაგებობების ვიზუალური გამოკვლევა

ჩეხოვის ქ. №28/30

საკვლევი ნაგებობები მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ძველ ავლაბარში (ნახ. №1). ნაგებობაში ამჟამად მიმდიანარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ჩეხოვის ქ. №28/30-ში მდებარე შენობა დანიშნულების მიხედვით სასტუმრო კომპლექსს წარმოადგენს. ნაგებობა სამსართულიანია, სარდაფით (სურ. 1, 2). ნაგებობას ასევე გააჩნია მიშენება „3-4-A-D“ ღერძებით შემოფარგლულ ზონაში (ნახ. №2). შენობას მთელ სიმაღლეზე ჩეხოვის ქ. №26-ის მხრიდან გააჩნია ლითონის კიბე. შენობის მზიდი კონსტრუქციები წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ელემენტების ერთობლიობით, კერძოდ ძირითადი შენობის (ღერძებში „1-3-A-D“) მზიდ ელემენტებში ფიქსირდება მონოლითური რკინაბეტონის ელემენტები სვეტები და რიგელები, რომლებიც განშრევებულია და ჩანს მუშა არმატურები (სურ. 3, 4). სარდაფში „3“ ღერძზე მდებარე კედელი შესრულებულია საძირკვლის ბლოკების გამოყენებით (სურ. 5). „3-4-A-D“ ღერძებში იატაკი შესრულებულია ფიცარნაგით (სურ. 6). სართულშორისი გადახურვები წარმოდგენილია ანაკრები ღრუტანიანი ფილების მეშვეობით (სურ. 7, 8).

ვიზუალური დათვალიერების შედეგად სარდაფში (ნიშნული -2.90) მზიდ ელემენტებზე არ ფიქსირდება რაიმე სახის დაზიანებები და დეფექტები.

პირველი სართულის (ნიშნული 0.00) ვიზუალური დათვალიერების შედეგად „3“ ღერძზე „C“ ღერძის გადაკვეთასთან ბლოკის წყობაში ფიქსირდება ირიბი ორიენტაციის ბზარი, რომელიც გრძელდება „3“ ღერძზე მდებარე კედელსა და გადახურვის ფილის გასწვრივ (სურ. 9, 10).

პირველ სართულზე „3-4-A-D“ ღერძებში არსებული სვეტები და გადახურვის ფილის საყრდენი კოჭები წარმოდგენილია ორი შეწყვილებული 20 სმ-იანი ლითონის შველერის სახით (სურ. 11, 12).

მეორე სართულზე (ნიშნული +3.60) ვიზუალური დათვალიერების შედეგად დაზიანებები დაფიქსირებული არ არის.

მეორე სართულზე ძირითადი ნაგებობის ძველი აივნის მზიდ ვერტიკალურ ელემენტად გამოყენებულია 20 სმ დიამეტრის მქონე ლითონის მილი, რომელზეც გადებულია 30 სმ-იანი ორტესებრი კოჭი (სურ. 13, 14).

მეორე სართულის მიშენების ფართის მზიდი ელემენტები წარმოდგენილია ორი შეწყვილებული 20 სმ-იანი ლითონის შველერის სახით (სურ. 15), ასევე შეწყვილებული შველერებითაა მოწყობიალია მონოლითური რკინაბეტონის ფილის საყრდენი კოჭი (სურ. 16).

მესამე სართულზე (ნიშნული +7.20) დაზიანებები და დეფექტები არ დაფიქსირებულა. ძირითადი ნაგებობის გადახურვა ისევე როგორც სხვა ნიშნულებზე მოწყობილია ანაკრები ღრუტანიანი ფილების მეშვეობით (სურ. 17, 18). მიშენებულ ფართში გადახურვა მოწყობილია ლითონის ელემენტებით, კერძოდ 14 სმ-იანი კუთხოვანებით, 14 სმ და 22 სმ-იანი შველერების გამოყენებით, რომელიც შენეობის მთელ პერიმეტრზეა მოწყობილი (სურ. 19÷22).

ჩეხოვის ქ. №26

ჩეხოვის ქ. №26-ში მდებარე შენობა-ნაგებობა წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასის სახით (სურ. 23). ნაგებობა სამსართულიანია ნახევარ სარდაფით და საზაფხულო ფართით (სურ. 24). დამკვეთის წარმომადგენლის ზეპირი ინფორმაციით ნაგებობა აშენებული ორი წლის წინ. ნაგებობა ჩეხოვის ქ. №28/30-ში

მდებარე შენობისგან დაშორებულია 9,6 მ-ით (სურ. 25). ნაგებობაზე მიმდინარეობს კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები (სურ. 26).

ჩეხოვის ქ. №34

ჩეხოვის ქ. №34-ში მდებარე შენობა-ნაგებობა ორსართულიან საცხოვრებელ სახლს წარმოადგენს ნახევარ სარდაფით (სურ. 27, 28). ნაგებობა ძველი ქართული აგურითაა ნაშენი გაძლიერებების და ჩანართების გარეშე, სართულშორისი გადახურვები ხის ელემენტებითაა შესრულებული (სურ. 29, 30).

ჩეხოვის ქ. №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლს და ჩეხოვის ქ. №28/30-ში მდებარე მდებარე სასტუმროს შორის მანძილი 1÷1.5 მ-ია (სურ. 31). სასტუმროს მხარეს მდებარე კედელი გახსნილია. გამაგრების მიზნით კედელს შეყენებული აქვს ხის დგარები, რომელიც სასტუმროს კედელზეა დაყრდნობილი (სურ. 32) და შესაძლოა ნებისმიერ დროს ჩამოიშალოს.

სახლი ძლიერ დაზიანებულია, დეფორმირებულია და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას (სურ. 33÷36). ПОСОБИЕ ПО ОБСЛЕДОВАНИЮ СТРОИТЕЛЬНЫХ КОНСТРУКЦИЙ ЗДАНИЙ-ის მიხედვით საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუკციები ავარიულ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება IV კატეგორიას (ავარიული).

3. ტექნიკური ექსპერტიზის დაკვნა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ, შ.პ.ს „ლამარია“-ს დაკვეთით გამოკვლეული იქნა ქ. თბილისში, ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე ნაგებობა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ზეგავლენა მეზობელ შენობებზე. კვლევების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

1. ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე ნაგებობის ვიზუალური დათვალიერების შედეგად ძალოვანი დაზიანებები არ დაფიქსირებულა;
2. ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე ნაგებობის სართულშორისი გადახურვები მოწყობილია ანაკრები ღრუტანიანი ფილების საშუალებით;
3. ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე ნაგებობას ყველა ნიშნულზე („3-4-A-D“ ღერძებში) გააჩნია მიშენება;
4. ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე ნაგებობის მიშენების („3-4-A-D“ ღერძებში) მზიდი კონსტრუქციები, სვეტები და გადახურვის ფილის საყრდენი კოჭები წარმოდგენილია ორი შეწყვილებული 20 სმ-იანი ლითონის შველერის სახით;
5. ჩეხოვის ქ. №26-ში მდებარე შენობა-ნაგებობა დამკვეთის წარმომადგენლის ზეპირი ინფორმაციით აშენებულია ორი წლის წინ. ნაგებობას ამჟამად უტარდება კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები. დაზიანებები და დეფექტები დაფიქსირებული არ არის.
6. ჩეხოვის ქ. №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლს და ჩეხოვის ქ. №28/30-ში მდებარე სასტუმროს შორის მანძილი 1÷1.5 მ-ია. სასტუმროს მხარეს მდებარე კედელი გახსნილია. გამაგრების მიზნით კედელს შეყენებული აქვს ხის დგარები, რომელიც სასტუმროს კედელზეა დაყრდნობილი და შესაძლოა ნებისმიერ დროს ჩამოიშალოს;
7. ჩეხოვის ქუჩა №34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ძლიერ დაზიანებულია, დეფორმირებულია და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, ПОСОБИЕ ПО

ОБСЛЕДОВАНИЮ СТРОИТЕЛЬНЫХ КОНСТРУКЦИЙ ЗДАНИЙ-ის მიხედვით საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუკციები ავარიულ მდგომარეობაშია და ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით მიეკუთვნება IV კატეგორიას (ავარიული);

8. ქ. თბილისში, ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე ნაგებობის რეკონსტრუქცია ზეგავლენას არ მოახდენს მეზობელ ნაგებობებზე, თუ იგი შესრულებული იქნება სარეკონსტრუქციო პროექტის და СТО НОСТРОЙ 2. 33. 53-2011 სტანდარტის მოთხოვნების დაცვით.

4. რეკომენდაციები

1. ჩეხოვის ქუჩა №28/30-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციისას კონსტრუქციების დემონტაჟი განხორციელდეს СТО НОСТРОЙ 2. 33. 53-2011 სტანდარტის მოთხოვნების დაცვით;
2. ნაგებობის რეკონსტრუქცია განხორციელდეს სპეციალურად შემუშავებული სარეკონსტრუქციო პროექტის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული იქნება ზომები, მეზობელი ნაგებობების მდგრადობისა და უსაფრთხოების შესახებ მშენებლობის პროცესში.